სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმის სამეცნიერო პერსონალის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთავარ მეცნიერ თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

შესაბამისი განყოფილების სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემები და მიმართულებები;

ადგილობრივი და უცხოური მიღწევები მეცნიერებათა შესაბამის დარგებში;

სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

მთავარ მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში, ინსტიტუტის განყოფილების სამეცნიერო მიმართულების შესაბამისად.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

უფროს მეცნიერ თანამშრომელმაუნდა იცოდეს:

საქართველოსა და უცხოეთში განყოფილების თემატიკით მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიების შესახებ ინფორმაცია;

კვლევა-ძიების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში, ინსტიტუტის განყოფილების სამეცნიერო მიმართულების შესაბამისად.

მეცნიერი თანამშრომელი

მეცნიერ თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

შესაბამის განყოფილებაში მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიების მიზნები და ამოცანები;

საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევების შესახებ ინფორმაცია;

მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები. გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 1 ან მეტი სამეცნიერო ნაშრომი.